

# „კულტურა ყველასათვის“ – ინდიკატორი ეკონომიკური განვითარებისა და სავაჭრო-საერთაშორისო თანამშრომლობისთვის

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე



2016

---

**„კულტურა ყველასათვის“ –  
ინდიკატორი ეკონომიკური განვითარებისა  
და საერთაშორისო თანამშრომლობისთვის**

---

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე

ავტორები: მარინე სოლომონიშვილი, რახილ სოლომონია, თეა გალდავა



აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის საქართველოში რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო არაკომერციული იურიდიული პირების გაერთიანება, რომლებიც მიზნად ისახავენ აღმოსავლეთ პარტნიორობის პრალის, ვარშავისა და ვილნიუსის სამიტების ერთობლივი დეკლარაციებითა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით და სხვა ერთობლივი ღონისძიებებით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ხელშეწყობას.

Eastern Partnership Civil Society Forum Georgian National Platform is an association of local and international non-commercial legal entities registered in Georgia, aiming to promote and implement the goals set by the Joint Declarations of the Prague, Warsaw and Vilnius Eastern Partnership Summits and the EU-Georgia Association Agreement of European Neighborhood Policy and other joint events.

ავტორები: მარინე სოლომონიშვილი, რახილ სოლომონია, თეა გალდავა

რედაქტორი: ირინა კაკოიაშვილი

© აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

---

2016 წლის 1-ელი ივლისიდან საქართველოში ძალაშია და ამოქმედდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ყველა მუხლი. ევროპასთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნილ ვალდებულებებში ერთ-ერთი ძირითადი დირექტივა კულტურული მრავალფეროვნების დაცვასა და ხელშეწყობას ეხება, ასოცირების ხელშეკრულების მე-17 თავი 362,363 მუხლის გათვალისწინებით, იუნესკოს 2005 წლის „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენციით განმტკიცებული. ასევე, მნიშვნელოვანია ე.წ. შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება. დღესდღეობით თვით ის იდეა, რომ კულტურული მრავალფეროვნება, მათ შორის ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობა, უნდა ემსახუროდეს ეკონომიკურ ზრდას, ექსპორტისა და დასაქმების ხელშეწყობას, რომ ეს დარგი უნდა გაძლიერდეს, ჯერჯერობით არ არის პოპულარული და არც შესწავლილი.

2008 წლის 1-ელი ოქტომბრიდან, საქართველოს მთავრობამ მოახდინა იუნესკოს 2005 წლის კონვენციის რატიფიცირება, თუმცა კი, დოკუმენტის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მუშაობა არათანმიმდევრულად ხორციელდება. მაგ.: კონვენციის მიხედვით, ყოველ 4 წელიწადში სახელმწიფომ უნდა ჩააბაროს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დეტალური ანგარიში. ეს ანგარიში ჯერ კიდევ 2012 წელს უნდა ყოფილიყო მომზადებული იუნესკოს სათავო ოფისში წარსადგენად. ანგარიში არ მომზადებულა და დღემდე ისევ მომზადების პროცესშია. ამასთანავე, შეზღუდულია სამოქალაქო საზოგადოების მხრივ ანგარიშის მომზადების დროს ჩართულობა. ასევე, არ არსებობს საქართველოში კონვენციის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა.

გარდა ამისა, არაა უწყებათაშორის კორდინაცია კულტურის საკითხთან მიმართებით სხვადასხვა სამოქმედო გეგმების მომზადებასა და განხორციელების პროცესში. შეზღუდულია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა, განსაკუთრებით ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა ჩართულობა კულტურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის, ასევე, ამ საკითხთან მიმართებით სხვადასხვა სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და განხორციელების პროცესში.

მოცემული პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია, გვეჩვენებინა ამ კუთხით დღეს არსებული მდგომარეობა, პრობლემის მოგვარების გზები და, მათ შორის, შესაბამისი ალტერნატივა გვეპოვა ევროპული და მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით. დოკუმენტი არ განიხილავს ყველა პრობლემატურ საკითხს, რომელიც საქართველოში კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესს ეხება, არამედ განხილულია ის საკითხები, მაგ.: როგორცაა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურა და მისი როლი ქვეყნის განვითარების საქმეში, ასევე კულტურა და შემოქმედებითი ინდუსტრია, თანაბარი ხელმისაწვდომობა კულტურაზე დედაქალაქსა თუ პერიფერიებში და სხვ. ამასთან, დოკუმენტში დასმულია პრობლემა, რომელიც საჯარო მოხელეთა პროფესიულ ზრდას, და

---

ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა მონაწილეობის გაუმჯობესებას ეხება. საქართველოში კულტურული მრავალფეროვნების სათანადო განვითარებისთვის საჭიროა ისეთი გადანიშნულებების მიღება, რომლებიც ეფუძნება ფაქტობრივ მონაცემებს და კვლევებს ამ სფეროში, რომელიც დამყარებული იქნება უახლოეს წარსულ გამოცდილებაზე და მსოფლიოში მიმდინარე ახალ ტენდენციებზე. ეს არის ერთ-ერთი საფუძველი, რომ ქვეყანაში ევროპული ღირებულებები დამკვიდრდეს და მდგრადი განვითარების გზას დაადგეს.

**პოლიტიკის დოკუმენტი გვთავაზობს რეკომენდაციებს, მათ შორის მიზანშეწონილია:**

- გათვალისწინებული იყოს „საბჭოები“:
  - ა) პრემიერ მინისტრის აპარატთან (უნყებათაშორისი ორგანო, სადაც სამინისტროების წარმომადგენლებთან ერთად იქნებიან გაერთიანებული ექპერტები, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ბიზნესის და მედიის წარმომადგენლები.
  - ბ) ადგილობრივ თვითმმართველობებში, სადაც მოხელეებთან ერთად იქნებიან გაერთიანებული ექპერტები, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების (მათ შორის ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა და სხვა მონყვლადი ჯგუფების), ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლები. საბჭოები შეისწავლიან საჭიროებებს და შეიმუშავენ დოკუმენტს, რეგიონში კულტურისა და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების შესახებ. ასევე, ხელს შეუწყობენ კულტურული და შემოქმედებითი პოტენციალის იდენტიფიცირებას, კვლევას და სხვ.
- განვითარდეს სპეციალური ფონდი (სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით) ან გათვალისწინებული იყოს ადგილობრივ ბიუჯეტში ფონდის გამოყოფა, რომელიც თავისუფალი კონკურსების გზით შემოსული კულტურის საპროექტო იდეების განხორციელებას მოხმარდება. ამავდროულად, დააფინანსებს ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა საჭიროებებსა და საპროექტო იდეებს.
- საინფორმაციო ცენტრების და საზოგადოებრივი სივრცეების დაარსების ხელშეწყობა ან არსებულის გააქტიურება, რომელიც ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან ერთად, დაეხმარება ადგილობრივ კულტურული პროექტების მომზადებას, განხორციელებას, გაშუქებას.
- გათვალისწინებული იყოს ადგილობრივ თვითმმართველობებში კულტურის სფეროში კადრების გადამზადება. საჯარო მოხელეთა და სამოქალაქო საზოგადოების ბენეფიციარების, მათ შორის ეთნიკურ/რელიგიური

---

უმცირესობების პროფესიული ზრდის, საერთაშორისო გაცვლებში და კულტურულ პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

- შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების მნიშვნელობის შესახებ საჯარო მოხელეთა და სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.
- ხელისუფლების წარმომადგენლებისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით განხორციელდეს სამოქმედო გეგმის შემუშავება „იუნესკოს“ 2005 წლის კონვენციის, მე-6 და მე-7 მუხლების რეალიზების მიზნით. სახელმწიფომ ბიუჯეტში გაითვალისწინოს კულტურის სფეროში მოღვაწე ქალთა, ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა და სხვა სოციალურად დაუცველ ფენათა კულტურული თვითგამოხატვის საკუთარი ფორმების განვითარება, სოციალურ სანარმოთა და ბიზნეს-ინკუბატორების შექმნის ხელშეწყობა.
- სახელმწიფომ გაითვალისწინოს კულტურის სფეროში ეკონომიკური დებულებების მარტივი რეგულაციების ხელშეწყობა, როგორცაა კანონი სპონსორის ინსტიტუტის შესახებ, შეღავათების მოდელი საგადასახადო სისტემაში, დაბალპროცენტიანი სესხები და ა.შ.
- დიასპორის სამინისტრომ და ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, საქართველოს კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობისა და პოპულარიზაციისთვის გაითვალისწინოს უცხოეთში არსებულ ქართულ დიასპორებთან ერთად, საქართველოში არსებული ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა თვითმყოფადი კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის განვითარებისა და წარმოჩენის ხელშეწყობა, მათ შორის ტურისტული მარშრუტების განვითარება.
- სახელმწიფო პროგრამებში გაძლიერდეს „იუნესკოს“ კონვენციის შესაბამისად ადამიანის უფლებების დაცვა, ორიენტირებული ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის და თვითმყოფადობის დაცვაზე, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებაზე, მათ შორის კონფლიქტის ზონებში.
- პრემიერ მინისტრის აპარატთან განვითარდეს სამოქალაქო საზოგადოების „მონიტორინგის ჯგუფი“, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის კულტურის ჯგუფის და მოწვეული ექსპერტების მონაწილეობით, რომელიც განახორციელებს კულტურის საკითხთან მიმართებით სხვადასხვა სახელმწიფო დოკუმენტების კვლევასა და შეფასებას (მათ შორის „კულტურა 2025“ სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის, „იუნესკოს“ 2005 წლის კონვენციის იმპლემენტაციის ოთხწლიანი ანგარიშის, „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმის 2015-2020 და სხვ.).

**საქართველოს ეროვნული პლატფორმა**  
ტელ.: +995 32 293 11 28  
მობ.: +995 570 10 44 90; +995 570 10 15 28  
ელ-ფოსტა: [np@ei-lat.ge](mailto:np@ei-lat.ge)  
ვებგვერდი: [eap-csf.ge](http://eap-csf.ge)